

# ბელარუსული სპეციალიზებული კინოჟურნალი „ეკრანებზე“, როგორც კულტურული ფენომენი

ლუდმილა საენკოვა-მელნიცკაია

*საკვანძო სიტყვები: ბელარუსული კინოკრიტიკა, ჟურნალი „ეკრანებზე“, კინოკრიტიკის ისტორია, მედიასტრატეგია*

კინოკრიტიკის ფენომენის განმსაზღვრელი ფაქტორები, რომლებიც გაშლილია მრავალ დონეზე, განაპირობებს არა მხოლოდ ამ დარგის წარმოშობასა და განვითარებას (რაც, რასაკვირველია, დაკავშირებულია კინემატოგრაფის გამოგონებასთან), არამედ მის ავტონომიასაც, როგორც უნივერსალურ ობიექტს საკუთარი საგნობრივი სპეციფიკურობით.

ბელარუსული კინოკრიტიკის ფორმირება დაიწყო მე-19 საუკუნის ბოლოს, ქალაქების კინოეკრანებზე იმპორტული ფილმების ჩვენებასთან ერთად. მე-20 საუკუნეში ეროვნული მედიის ფარგლებში განისაზღვრა კინოკრიტიკის ჟანრის ძირითადი პრიორიტეტები და ღირებულების შეფასების პრინციპები, ასევე მისი ონტოლოგიურ-საკომუნიკაციო საფუძვლები და შემეცნებით-კულტურული რესურსები, ჩამოყალიბდა მედიის სტრატეგიები, დაიწყო მედიის საგანმანათლებლო პოტენციალის ათვისება, გაცხადდა ავტორთა მიდგომები მედიის წიაღში მსოფლიო და ეროვნული კინემატოგრაფიის ასახვისადმი, რაც კინოკრიტიკის ბელარუსული სკოლის ინსტიტუციონალიზაციის ფაქტის განხილვის საფუძველს იძლევა. კინომცოდნეობის განვითარებამ წვლილი შეიტანა ბელარუსული კინომცოდნეობის ჩამოყალიბებაში დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად, რომელიც მოიცავს კინოს, როგორც ხელოვნების დარგის, შესახებ ისტორიული და თეორიული ცოდნის შესწავლას და სისტემატიზაციას. კინოკრიტიკა, რომელიც ბელარუსული ჟურნალისტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ხელს უწყობს მედიაში კულტურული პროცესების წახალისებას.

კინოჟურნალი „ეკრანებზე“ წარმოადგენს მასმედიის ერთ-ერთ პირველ საშუალებას, რომლის ფარგლებშიც მოხდა კინოკრიტიკის ფორმალიზება შემოქმედებითი საქმიანობის განსაკუთრებული ფორმის სახით. ეს ფორმა კონცენტრირებული იყო აუდიტორიის მხატვრულ და ესთეტიკურ მოთხოვნილებებზე, ასევე კინოწარმოების პროცესში ჩართულთა პროფესიულ და შემოქმედებით მოთხოვნილებებზე.

კინოკრიტიკის ფენომენის განმსაზღვრელი ფაქტორები, რომლებიც გაშლილია მრავალ დონეზე, განაპირობებს არა მხოლოდ ამ დარგის წარმოშობასა და განვითარებას (რაც, რასაკვირველია, დაკავშირებულია კინემატოგრაფის გამოგონებასთან), არამედ მის ავტონომიასაც, როგორც უნივერსალურ ობიექტს საკუთარი საგნობრივი სპეციფიკურობით.

ბელარუსული კინოკრიტიკის ფორმირება დაიწყო მე-19 საუკუნის ბოლოს, ქალაქების კინოეკრანებზე იმპორტული ფილმების ჩვენებასთან ერთად. მე-20 საუკუნეში ეროვნული მედიის ფარგლებში განისაზღვრა კინოკრიტიკის ჟანრის ძირითადი პრიორიტეტები და ღირებულების შეფასების პრინციპები, ასევე მისი ონტოლოგიურ-საკომუნიკაციო საფუძვლები და შემეცნებით-კულტურული რესურსები, ჩამოყალიბდა მედიის სტრატეგიები, დაიწყო მედიის საგანმანათლებლო პოტენციალის ათვისება, გაცხადდა ავტორთა მიდგომები მედიის წიაღში მსოფლიო და ეროვნული კინემატოგრაფიის ასახვისადმი, რაც კინოკრიტიკის ბელარუსული სკოლის ინსტიტუციონალიზაციის ფაქტის განხილვის საფუძველს იძლევა. კინომცოდნეობის განვითარებამ წვლილი შეიტანა ბელარუსული კინომცოდნეობის ჩამოყალიბებაში დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად, რომელიც მოიცავს კინოს, როგორც ხელოვნების დარგის, შესახებ

რიტეტები და ღირებულების შეფასების პრინციპები, ასევე მისი ონტოლოგიურ-საკომუნიკაციო საფუძვლები და შემეცნებით-კულტურული რესურსები, ჩამოყალიბდა მედიის სტრატეგიები, დაიწყო მედიის საგანმანათლებლო პოტენციალის ათვისება, გაცხადდა ავტორთა მიდგომები მედიის წიაღში მსოფლიო და ეროვნული კინემატოგრაფიის ასახვისადმი, რაც კინოკრიტიკის ბელარუსული სკოლის ინსტიტუციონალიზაციის ფაქტის განხილვის საფუძველს იძლევა. კინომცოდნეობის განვითარებამ წვლილი შეიტანა ბელარუსული კინომცოდნეობის ჩამოყალიბებაში დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად, რომელიც მოიცავს კინოს, როგორც ხელოვნების დარგის, შესახებ

ისტორიული და თეორიული ცოდნის შესწავლას და სისტემატიზაციას. კინოკრიტიკა, რომელიც ბელარუსული ჟურნალისტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ხელს უწყობს მედიაში კულტურული პროცესების წახალისებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციის ჭარბი ოდენობის, სულიერი ღირებულებებისა და იდეალების მონეტრიზაციის პირობებისთვის.

კინოჟურნალი „ეკრანებზე“ წარმოადგენს მასმედიის ერთ-ერთ პირველ საშუალებას, რომლის ფარგლებშიც მოხდა კინოკრიტიკის ფორმალიზება შემოქმედებითი საქმიანობის განსაკუთრებული ფორმის სახით. ეს ფორმა კონცენტრირებული იყო აუდიტორიის მხატვრულ და ესთეტიკურ მოთხოვნილებებზე, ასევე კინოწარმოების პროცესში ჩართულთა პროფესიულ და შემოქმედებით მოთხოვნილებებზე. ჟურნალის ისტორია იწყება 1957 წელს პატარა საინფორმაციო ფურცლით „ბელარუსის კინოეკრანებზე“, რომელსაც გამოსცემდა ბელარუსის კულტურის სამინისტროს კინემატოგრაფიისა და კინოს გავრცელების მთავარი სამმართველო. იგი ჩაფიქრებული იყო, როგორც სარეკლამო და საინფორმაციო გამოცემა, რომელშიც განთავსდებოდა განცხადებები კინოთეატრების რეპერტუარების შესახებ, რის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის სისტემატურად ინფორმირება ახალი კინოფილმების შესახებ. არსებითად, კინოს დისტრიბუციის საინფორმაციო ფურცელი „ბელარუსის კინოეკრანებზე“, მიუხედავად მცირე ზომისა და აშკარად სარეკლამო ხასიათისა, იქცა პირველ სპეციალიზებულ გამოცემად, რომელიც გახლდათ არა მხოლოდ „აზრობრივი პროდუქციის ცენტრი“ ინფორმაციის მოძიების მხრივ, არამედ ასევე საბჭოთა პერიოდში პირველი ბელარუსული სარეკლამო პროექტი. გამოცემის შინაარსობრივ ბირთვს შეადგენდა ახალი ფილმების რეკლამა სხვადასხვა ფორმით: აბსტრაქციის ჟანრში შესრულებული ფილმის დეტალური აფიშები, ასევე მოკლე ინფორმაცია კინოს დისტრიბუციის თანამშრომელთათვის. გამოცემის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა ვიზუალური ასპექტი: ცნობილი მსახიობების ფოტოები და კადრები ფილმებიდან. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო თავად ჟურნალისტური მასალაც. გამოცემაში თავმოყრილი იყო ორი ურთიერთდაკავში-

რებული შინაარსობრივი ელემენტი: ჟურნალისტიკა და რეკლამა, რომლებსაც, ბუნებრივია, ერთმანეთზე გავლენა ჰქონდათ. როგორც ცნობილია, მედიის კონცენტრირება სარეკლამო შინაარსზე ქმნის ხელსაყრელ პირობებს გამოცემების ეკონომიკური განვითარებისთვის.<sup>1</sup> მიუხედავად ამისა, საბჭოთა წლებში ფილმების რეკლამამ გავლენა იქონია არა იმდენად გამოცემის ფინანსურ სტაბილურობაზე, როგორც კინოთეატრების შემოსავლებზე, რადგან ასეთი რეკლამის შედეგად წახალისებული იყო მკითხველთა შესაბამისი არჩევანი. 1960-იანი წლების ბოლოსთვის გამოცემის ტირაჟმა რეკორდულ მაჩვენებელს - 500 ათასს მიაღწია.

1980-იან წლებში გამოცემა გარდაიქმნა სარეკლამო გაზეთად „მინსკის კინოს ყოველკვირეული“, რომელშიც შენარჩუნებული იყო იგივე ფუნქციები, თუმცა განსხვავებულ ფორმატში. გაზეთის წყალობით შესაძლებელი გახდა ანონსის/განცხადებების და რეპერტუარის განრიგის დივერსიფიკაცია, რასაც ერთვოდა ავტორთა ტექსტები ინტერვიუების, სკეტჩების და მცირე ზომის რეცენზიების სახით. როგორც კინოს შესახებ პირველმა სპეციალიზებულმა გამოცემამ, ყოველკვირეულმა „მინსკის კინოს ყოველკვირეული“, ერთი მხრივ, განაგრძო საბჭოთა კინოს დისტრიბუციის სისტემაში ესოდენ მოთხოვნილი რეკლამის მიმართულება და, მეორე მხრივ, თავადვე განავითარა კინოკრიტიკის სფერო. „მინსკის კინოს ყოველკვირეული“ არის პირველი გამოცემა კინოს შესახებ, რომელიც კორპორაციული სტატუსით შეიძლება განვიხილოთ. შემთხვევითი არაა, რომ 1996 წელს „მინსკის კინოს ყოველკვირეულის“ ბაზაზე დაარსდა სპეციალიზებული ჟურნალი „ეკრანებზე“, რომლის პრაქტიკა მედიის სფეროში ამ ეტაპზე წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს, ბელარუსული და უცხოური კინოს კულტურისა და რეკლამის ანალიზის საშუალების და ეროვნული კინოინდუსტრიის პროდუქციის რეკლამირების სინთეზს. სახელწოდების ცვლილება მიუთითებს თემატური შინაარსის გაფართოებასა და საეკრანო კულტურის პარამეტრების ტრანსფორმაციაზე. სახეცვლილ გამოცემაში აქცენტი გაკეთდა საეკრანო კულტურის წარმოჩენაზე, რომელიც თანამედროვე სოციოკულტურული სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილია.

1 Albarran, Media, 2002, p. 250.

მართალია, ჟურნალის დევიზია „კინო ყველასთვის, კინო რჩეულთათვის, რჩეული კინოს შესახებ“, გამოცემის გვერდებზე ასევე ქვეყნდება ტექსტები ტელევიზიის, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ფოტოგრაფიის შესაძლებლობების შესახებ. არსებობის უნიკალურობის შენარჩუნებული მახასიათებელი განაპირობებს შინაარსობრივი მიმართულებების მრავალწახნაგოვან ხასიათს და ფორმალური მახასიათებლების მრავალფეროვნებას.<sup>2</sup>

ჟურნალი „ეკრანებზე“, რომელიც იმთავითვე იყო ორიენტირებული კინოს რეკლამირებასა და პოპულარიზაციაზე, დღემდე ერთგულია თავისი კონცეფციისა. ბეჭდური მედიისთვის ყველაზე რთულ პერიოდებშიც კი ჟურნალი განაგრძობდა ადგილობრივი, უცხოური, პოპულარული, ელიტარული და კლასიკური კინოს სფეროს, ასევე სხვადასხვა პრემიერის, კონკურსისა თუ ფესტივალის გაშუქებას. ჟურნალი იდგა მინსკის საერთაშორისო კინოფესტივალ „ლისტაპადის“ სათავეებთან და გვევლინება, როგორც ქვეყნის კინოს სფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ფორუმის ჟამთააღმწერელი. არსებითად, ჟურნალი ეხმარება ყველა მნიშვნელოვან მოვლენას კინოს სფეროში როგორც ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, თუმცა აქცენტი, პირველ რიგში, აუცილებლად კეთდება ბელარუსულ კინემატოგრაფზე. ჟურნალის „ეკრანებზე“ შინაარსობრივ მხარეს გამოარჩევს კინოკრიტიკის და პოპულარული ჟანრების ჰარმონიული კომბინაცია, ფოტომა-

სალის სიუხვე და ექსკლუზიური ინტერვიუები კინოს სამყაროს ავტორიტეტულ ფიგურებთან. პლატფორმა საკუთარი ამრის დასაფიქსირებლად ღიაა როგორც აღიარებული კინემატოგრაფისტებისთვის, ისე სტუდენტებისთვის, ანუ კინოს სფეროს მოღვაწეთა „მომავალი“ თაობისთვის.

„ეკრანებზე“ არის ეროვნული კინოსტუდიის – „ბელარუსფილმის“ სანდო საინფორმაციო პარტნიორი. მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესოა ჟურნალის, კინოსტუდიისა და ბელარუსის კინემატოგრაფისტთა კავშირის ერთობლივი საქმიანობა, კონკრეტულად კი სპეციალური ნომრები, რომლებიც ეძღვნება კინოსტუდია „ბელარუსფილმის“ პრემიერებს, ეროვნული კინემატოგრაფიის ოსტატებს და თემატურ კინემატოგრაფიულ კალენდრებს. გამოცემაში იდეალურადაა შეხამებული როგორც მასობრივი მკითხველისთვის, ისე კინოს სფეროს პროფესიონალებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია, ასევე როგორც გართობის ინდუსტრიის, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო გამოცემის ფუნქციები, ვიზუალურად მჭახე და კორპორაციული საზოგადოებისთვის განკუთვნილი სპეციალიზებული ხასიათი. საკუთარი ისტორიის მქონე ჟურნალმა „ეკრანებზე“ გაუძლო დროის გამოცდას და დღესაც გვევლინება, როგორც წამყვანი გამოცემა კინოს სფეროს შესახებ, რომელშიც ასახულია როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო საეკრანო ხელოვნება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Albarran A., Media Economics: Understanding Markets, Industries, and Concepts, New Jersey, 2002.
- Sayenkova-Melnitskaya L., Belarusian Film Criticism of the 20th-21st Centuries: From First Announcements in Print to Hybrid Genres on the Internet, Minsk, 2020.

<sup>2</sup> Sayenkova-Melnitskaya, Belarusian, 2020, p. 25.

# BELARUSIAN SPECIALIZED FILM MAGAZINE “ON SCREENS” AS A CULTURAL PHENOMENON

Ludmila Sayenkova-Melnitskaya

*Keywords: Belarusian film criticism, "On Screens" magazine, history of film criticism, media strategy*

The phenomenon of film criticism, due to multilevel determinants, predetermined not only its genesis and development (which, of course, is associated with the invention of cinema), but also its autonomy as a multifunctional object with its own subject specificity.

The formation of film criticism in Belarusian journalism began simultaneously with the display of the first imported films on the screens of city cinemas at the end of the 19<sup>th</sup> century. In the twentieth century, there were formed the main genre priorities and value-assessment principles of the art of film criticism in the national media, there were determined its ontological-communicative foundations and cognitive-cultural resources, its media strategies were formed, its media educational potential was realized, author's approaches to the representation of world and domestic cinema in the media environment were manifested, which allows us to talk about the institutionalization of the Belarusian school of film criticism. The development of film criticism contributed to the formation of Belarusian cinema studies as an independent sphere of scientific activity, involving the study and systematization of historical and theoretical knowledge about cinema as an art form. Film criticism, being an integral part of Belarusian journalism, activates cultural processes in the media, which is extremely important in the conditions of an overabundance of information, monetization of spiritual values and ideals.

One of the first mass media in Belarus, where film criticism was formalized as a special kind of creative activity, focused on the artistic and aesthetic needs of the audience and the professional and creative needs of film production participants in a qualified assessment, is the film magazine “On Screens”.

The phenomenon of film criticism, due to multilevel determinants, predetermined not only its genesis and development (which, of course, is associated with the invention of cinema), but also its autonomy as a multifunctional object with its own subject specificity.

The formation of film criticism in Belarusian journalism began simultaneously with the display of the first imported films on the screens of city cinemas at the end of the 19<sup>th</sup> century. In the twentieth century, there were formed the main genre priorities and value-assessment principles of the art of film criticism in the national media, there were determined its ontological-communicative foundations and cognitive-cultural resources, its media strategies were formed, its media educational potential was realized, author's approaches to the representation of world and domestic cinema in the media environment were manifested, which allows us to talk about the institutionalization of the Belarusian school of

film criticism. The development of film criticism contributed to the formation of Belarusian cinema studies as an independent sphere of scientific activity, involving the study and systematization of historical and theoretical knowledge about cinema as an art form. Film criticism, being an integral part of Belarusian journalism, activates cultural processes in the media, which is extremely important in the conditions of an overabundance of information, monetization of spiritual values and ideals.

One of the first mass media in Belarus, where film criticism was formalized as a special kind of creative activity, focused on the artistic and aesthetic needs of the audience and the professional and creative needs of film production participants in a qualified assessment, is the film magazine “On Screens”. The magazine began its history in 1957 with a small bulletin “On the screens of Belarus”, which was the body of the Main Directorate of Cinematography and Film Distribution of the Ministry

of Culture of Belarus. It was conceived as an advertising and information publication for the announcement of a cinema repertoire, the main purpose of which was to systematically inform people about new films. In fact, the film distribution bulletin “On the screens of Belarus”, despite the small volume and frankly advertising nature, became the first specialized publication, which was not only the “center of semantic production” for finding information, but also the first Belarusian advertising project of the Soviet era. The content basis of the publication was the advertising of new films in different forms: a detailed movie poster, composed of short, unnamed publications in the genre of abstracts; background information intended for film distribution workers. An important component of the publication was the visual part—photos of famous actors and shots from films. No less important was the journalistic content itself. The publication began to ensure the interaction of two different content elements—journalistic and advertising ones, which could not but influenced each other. The demand for journalistic content led to the promotion of advertising appeal. As it is known, the focus of the media on advertising content creates favorable conditions for the economic development of publications<sup>1</sup>. However, in the Soviet years, the advertising presentation of films affected not so much the financial stability of the publication as the financial statements of cinemas, since it stimulated the choice of readers. The circulation of the publication by the end of the 60s was record-breaking—500 thousand copies per month.

In the 1980s, the publication was transformed into an advertising newspaper Minsk Film Week, retaining the same functions, but in a different format. The newspaper got an opportunity to diversify announcements and repertoire tables with author’s texts in the genres of interviews, sketches and mini-reviews. The weekly newspaper Minsk Film Week, which became the successor of the first specialized film publication, on the one hand, continued the advertising direction that was in demand in the Soviet film distribution system, on the other hand, it developed film criticism itself. Minsk Film Week is the first film edition that is defined as corporate. It is no coincidence that in 1996, on the basis of the news-

paper Minsk Film Week, there appeared a specialized magazine “On Screens”, the media practice of which at the present stage represents a synthesis of information representation, analytical comprehension of Belarusian, foreign film culture and advertising and commercial promotion of the products of the national film industry. The changed name indicated the expansion of thematic content and the transformation of typological parameters. In the modified edition, the emphasis was placed on the presentation of screen culture as a significant part of the modern socio-cultural space. Although the magazine follows the stated slogan “Cinema for all, cinema for the distinguished, the distinguished—about cinema”, the pages of the publication publish texts about television, computer technology, and the possibilities of modern photography. The preserved feature of the uniqueness of existence predetermined the multi-vector content directions and the variety of formal features<sup>2</sup>.

Since the very beginning, focused on the promotion and popularization of cinema, the magazine “On Screens” has never deviated from its concept. In the most difficult times for print media, the magazine continued to cover cinema — domestic, foreign, popular, elite, classics and premieres, competitions and festivals. The magazine was at the origins of the Minsk International Film Festival “Listapad” and is its chronicler throughout the years of existence of the most important film forum of the country. There is practically no significant film action in the country and abroad that would not have a relevant response in the magazine, but with the obligatory observance of the priority of Belarusian cinema. The content of the magazine “On Screens” is distinguished by a harmonious combination of film criticism and popular genres, an abundance of photographic materials, exclusive interviews with authoritative persons from the world of cinema. The platform for statements is open both for the established cinematographers, and for students, cinematographers of the “next” generation.

“On Screens” is a reliable information partner of the National Film Studio “Belarusfilm”. The joint actions of the magazine, the film studio and the Belarusian Union of Cinematographers are of particular interest to readers, namely: special issues dedicated to the premieres of the

1 Albarran, Media, 2002, p. 250.

2 Sayenkova-Melnitskaya, Belarusian, 2020, p. 25.

Belarusfilm film studio, masters of national cinema and thematic film calendars. The publication harmoniously combines information designed for the mass reader and information for film professionals, it also harmoniously combines the functions of an entertainment publication and of a cultural-educational publication, a glossy one

and a specialized one, designed for the corporate community. Having its own history, having passed its tests, the magazine “On Screens” continues to be the main film publication, representing both national and world screen culture.

#### REFERENCES:

- Albarran A. Media Economics: Understanding Markets, Industries and Concepts. Wiley-Blackwell, 2002.
- Sayenkova-Melnitskaya L. Belarusian film criticism of the 20<sup>th</sup>-21<sup>st</sup> centuries: from first announcements in print to hybrid genres on the Internet. Minsk: BSU, 2020.